

„საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების
 პროექტზე უწყებების მიერ გაკეთებული
 შენიშვნების განხილვის შედეგების ცხრილი

№	შენიშვნის ავტორი	შენიშვნა	შედეგი
1	2	3	4
1.	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	<ol style="list-style-type: none"> 1. პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტში კავშირი „და“ შეიცვალოს კავშირით „და/ან“. 2. პროექტის პირველი მუხლის „ვ“ პუნქტში ფრაზას „რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს“, მართებულია, წინ დაემატოს ფრაზა „ასევე, ამ დანართი და შეთანხმების ნებისმიერ შესწორებას“. 3. შეთანხმების პროექტის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში ფრაზა „განსაკუთრებული და უჩვეულო გარემოებები“, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეიცვალოს ფრაზით „დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები“ - საქართველოს საჰაერო კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. 4. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ საბაჟო შეღავათებს. შესაბამისად, აღნიშნული შეღავათების დაწესება, მართებულია, მოხდეს საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. 5. პროექტის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტში უნდოვანია ფრაზა „მიმართონ რომელიმე პიროვნებას ან ორგანიზაციას“. 6. ასევე, მართებულია, ამავე პუნქტით განისაზღვროს, თუ რომელ არბიტრაჟს მიმართავენ მხარეები, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება დავის ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გზით მოგვარება. 	<ol style="list-style-type: none"> 1. გათვალისწინებულია 2. გათვალისწინებულია 3. გათვალისწინებულია 4. გათვალისწინებულია ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას 5. გათვალისწინებულია ფრაზა „ მიმართონ რომელიმე პიროვნებას ან ორგანიზაციას“ ამოღებულ იქნა წინამდებარე შეთანხმების პროექტიდან 6. არ არის გათვალისწინებული არბიტრაჟის ფორმირების წესი დაწვრილებით არის აღწერილი იმავე მუხლის მე-3 პუნქტში.

7. პროექტის დანართში, მართებულია, დაზუსტდეს „შუალედური და საზღვრებს გარეთ მდებარე პუნქტების“ განსაზღვრის წესი.

8. ამასთან, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

ზემოხსენებული შეთანხმების პროექტი მოითხოვს შინაარსობრივი, სტილისტური და მთარგმნელობითი ხასიათის შემდეგ შესწორებას:

9. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში და შემდგომში ტექსტში ფრაზა „კანონებისა და წესების“, მართებულია, შეიცვალოს სიტყვით „კანონმდებლობა“.

10. პროექტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში ფრაზა „ხელშემკვრელი მხარის ავიასაწარმოებს“, მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით „ხელშემკვრელი მხარეების მიერ დანიშნულ ავიასაწარმოებს“.

11. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში ფრაზა „საადასახადო შეღავათით სარგებლობა“, მიზანშეწონილია შეიცვალოს ფრაზით „საბაჟო შეღავათით სარგებლობა“ - საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მე-9 მუხლის სათაურში ფრაზა „საავიაციო უშიშროება“, მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით: „სამოქალაქო ავიაციის უშიშროება“ - საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-5 კარის შესაბამისად.

13. ამავე მუხლის პირველ პუნქტში ფრაზა „ჩიკაგოს კონვენციები“, მიზანშეწონილია, შეიცვალოს ფრაზით: „ჩიკაგოს კონვენცია“.

7. არ არის გათვალისწინებული შუალედური და საზღვრებს გარეთ მდებარე პუნქტები არ კონკრეტდება, რადგან ისინი დამოკიდებულია მარშრუტებზე, თვითმფრინავის ტიპზე, სათადარიგო აეროდრომზე და სხვა ფაქტორებზე და ისინი დგინდება საავიაციო ხელისუფლებებს შორის ცალკე მოლაპარაკებების გზით.

8. გათვალისწინებულია

9. გათვალისწინებულია

10. გათვალისწინებულია

11. გათვალისწინებულია

12. არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ტერმინი მიღებულია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის პრაქტიკაში

13. გათვალისწინებულია

		<p>14. მე-13 მუხლის პირველ პუნქტში ფრაზა „სახელმწიფოში მოქმედი კანონებისა და სხვა იურიდიული აქტების საფუძველზე“, მართებულია, შეიცვალოს ფრაზით „სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.</p> <p>15. პროექტის მე-17 მუხლი, მართებულია, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მხარეთა თანხმობით, წინამდებარე შეთანხმებაში შესაძლებელია წერილობითი ფორმით ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომლებიც ფორმდება ცალკე ოქმების სახით, წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის წინამდებარე შეთანხმების მე-18 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული წესის შესაბამისად“.</p> <p>16. პროექტის დასკვნითი დებულებები, მართებულია, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შესრულებულია. ქ. — , 200- წლის — —, ორ პირად, თითოეული ქართულ, სომხურ და ინგლისურ ენებზე. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე“.</p> <p>17. პროექტი შესაბამისობაშია მოსაყვანი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მოთხოვნებთან.</p>	<p>14. გათვალისწინებულია</p> <p>15. გათვალისწინებულია</p> <p>16. გათვალისწინებულია</p> <p>17. გათვალისწინებულია</p>
2.	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	<p>1. შეთანხმების პროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში და შემდგომში მთელს ტექსტში, ფრაზა: „იმ კანონებისა და წესების პირობები“, შეიცვალოს ფრაზით: „ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები“.</p> <p>2. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, ფრაზა: „ტექნიკური, საექსპლოატაციო, საბაჟო, გარემოს დაცვის ან სხვა კანონმდებლობით“, მართებულია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ტექნიკური, საექსპლოატაციო, საბაჟო, გარემოს დაცვის სფეროების ან სხვა სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობით“.</p> <p>3. მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, ფრაზა: „ჩიკაგოს კონვენციები“, შეიცვალოს ფრაზით: „ჩიკაგოს კონვენცია“.</p> <p>4. მე-13 მუხლის პირველ პუნქტში, ფრაზა: „სახელმწიფოში</p>	<p>1. გათვალისწინებულია</p> <p>2. გათვალისწინებულია ნაწილობრივ ფრაზა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით „ ტექნიკური, საექსპლოატაციო, საბაჟო და გარემოს დაცვის სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობით “</p> <p>3. გათვალისწინებულია</p> <p>4. გათვალისწინებულია</p>

		<p>მოქმედი კანონებისა და სხვა იურიდიული აქტების საფუძველზე“, მიზანშეწონილია შეიცვალოს შემდეგნაირად: „სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე“.</p> <p>5. მე-18 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა: „ნოტა“, შეიცვალოს სიტყვით: „შეტყობინება“, ხოლო ფრაზა: „ეროვნული კანონმდებლობით“, შეიცვალოს ფრაზით: „მოქმედი კანონმდებლობით“.</p> <p>6. შეთანხმების პროექტის ბოლო დებულება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შესრულებულია ქ. -----, 200 წლის --- -----, ორ დედნად, თითოეული ქართულ, სომხურ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, სამივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე“.</p>	<p>ჩამოყალიბდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 14-ე შენიშვნის შესაბამისად</p> <p>5. გათვალისწინებულია ნაწილობრივ</p> <p>6. გათვალისწინებულია ნაწილობრივ იხ. იუსტიციის სამინისტროს №16 შენიშვნა</p>
3.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	<p>1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მიმართ ფინანსური ხასიათის შენიშვნები არ აქვს. ამასთან, დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების საქართველოს მხარის მიერ გასაწევი ხარჯების დაფინანსება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უნდა განახორციელოს მისთვის წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებულ სიგნებათა ფარგლებში.</p>	<p>1. გათვალისწინებულია</p>
4.	ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია	<p>1. შეთანხმების პროექტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.</p>	<p>1. „საავიაციო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს როგორც ხელმშეკერელ მხარეს მიენიჭა უფლება ავიაგადამზიდველად დანიშნოს ის ავიასაწარმო, რომლის უპირატესი მფლობელობა არ არის საქართველოს ან მისი მოქალაქის ხელში, თუმცა წინამდებარე შეთანხმების პროექტი წარმოადგენს ორმხრივ ხელშეკრულებას, და მისი პირობები და უფლებების მინიჭება</p>

			განისაზღვრება მხარეთა მიერ. ამასთან, სომხურ მხარესთან ზემოთქმულ საკითხზე გაიმართა შესაბამისი კონსულტაციები, სადაც ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება.
		2. შეთანხმების პროექტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადებაში სიტყვა “ხელშეკრულების” ნაცვლად უნდა დაიწეროს სიტყვა “შეთანხმების”.	2. გათვალისწინებულია
		3. შეთანხმების პროექტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადება მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “შეთანხმების მიღწევამდე ტარიფები დროებით შევა ძალაში ან გაგრძელდება”.	3. გათვალისწინებულია ნაწილობრივ ფრაზა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „თუ ამგვარი ორმხრივი შეთანხმება არ მოხდა, აღნიშნული ტარიფი შევა ძალაში ან დარჩება ძალაში“
		4. შეთანხმების პროექტის ქართულ ტექსტის მე-9 მუხლის სათაური და მთლიანად აღნიშნული მუხლის პუნქტებში სიტყვები “სამოქალაქო ავიაციის უშიშროება” უნდა შეიცვალოს სიტყვებით “საავიაციო უშიშროება”, ვინაიდან იგი დამკვიდრებული ტერმინია მთელ მსოფლიოში.	4. გათვალისწინებულია (იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენიშვნა №12)
		5. ამავე მუხლის I-ელ პუნქტს უნდა დაემატოს კიდევ ორი კონვენცია. კერძოდ: “... 1988 წლის 24 თებერვალს მონრეალში ხელმოწერილი ოქმი “საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ”; 1991 წლის 1 მარტს ქ. მონრეალში ხელმოწერილი კონვენცია “პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდები შესახებ მათი გამოვლენის მიზნით”...“ შემდგომ როგორც ტექსტში	5. არ არის გათვალისწინებული, რადგან შენიშვნაში მოყვანილი საერთაშორისო აქტები საქართველოს მიერ აღიარებულია: მონრეალის ოქმი – 1998წ. 25 ნოემბერს, და წარმოადგენს „სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“ 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში ხელმოწერილი კონვენციის განუყოფელ ნაწილს, რაც აღნიშნულია ოქმის პირველ მუხლში. ხოლო 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში ხელმოწერილი კონვენცია „სამოქალაქო ავიაციის

		<p>უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ“ მითითებულია შეთანხმების პროექტის მე-9 მუხლში. რაც შეეხება 1991წ. ქმონრეალში ხელმოწერილ კონვენციას, რომელიც აღიარებულია საქართველოს მიერ 2000წ. 11 თებერვალს, ხოლო სომხეთის მიერ 2005 წლის 20 მარტს, მისი დამატება შეთანხმების პროექტის მე-9 მუხლში არ გამოიწვევს რაიმე ვალდებულების წარმოშობას, შესაბამისად ორივე ხელშემკვრელი მხარე როგორც კონვენციის მონაწილე ვალდებულია შეასრულოს კონვენციით განსაზღვრული პირობები, მიუხედავად იმისა ასახული იქნება თუ არა წინამდებარე შეთანხმებაში.</p>
	<p>6. შეთანხმების ტექსტის სრულყოფისათვის, მიზანშეწონილია შეთანხმებას დაემატოს ახალი მუხლები შემდეგი რედაქციით (შესაბამისად შეიცვლება მუხლების ნომერაცია):</p> <p style="text-align: center;">“მუხლი ——— პირდაპირი ტრანზიტი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თითოეული ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე პირდაპირი ტრანზიტით გადაყვანილ-გადაზიდული მგზავრები, ბარგი, ტვირთი და ფოსტა, რომლებიც არ ტოვებენ აეროპორტის ამ მიზნებისათვის გამოყოფილ ტერიტორიას, გაივლიან მხოლოდ გამარტივებულ კონტროლს, გარდა ამ შეთანხმების მე-12 მუხლით დადგენილი საავიაციო უშიშროების პირობებისა; 2. ბარგი, ტვირთი და ფოსტა, რომელთა გადაზიდვა ხორციელდება პირდაპირი ტრანზიტით, თავისუფლდება საბაჟო და სხვა გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან. 	<p>6. არ არის გათვალისწინებული</p> <p>არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ კონვენციის (ჩიკაგოს კონვენცია) მე-9 დანართის V თავის 6.32 პუნქტის მიხედვით მკაფიოდ არის განსაზღვრული მგზავრის, ბარგის, ტვირთის და ფოსტის გამარტივებული პროცედურებით მომსახურების პროცედურები. ამასთან, მსოფლიო სამოქალაქო ავიაციის პრაქტიკაში, ტრანზიტული მგზავრების, ბარგის,</p>

ტვირთის და ფოსტის გამარტივებული კონტროლით მომსახურება წარმოადგენს მიღებულ ფორმას.

“მუხლი —
კოდის ერთობლივი გამოყენება

შეთანხმებულ მარშრუტებზე მომსახურების განხორციელებისას ან მათზე უფლებების ფლობისას, ორივე ხელშემკვეთი მხარის მიერ დანიშნულ ნებისმიერ ავიასაწარმოს (ებს) შეუძლია აფორმოს კოდის ერთობლივი გამოყენების შესახებ შეთანხმებები:

- თავისი ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან;
- მეორე ხელშემკვერელი მხარის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან;
- მესამე ქვეყნის მიერ დანიშნულ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან;

იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარ შეთანხმებაში მყოფი ყველა ავიასაწარმო:

- ფლობს მიმოსვლის უფლებას შესაბამის მარშრუტებზე და/ან სეგმენტებზე;
- შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ამგვარ შეთანხმებებში;
- ვალდებულია ბილეთის გაყიდვისას განუმარტოს მომხმარებელს თუ რომელი ავიასაწარმო გაუწევს მომსახურებას თითოეულ სექტორზე და თუ რომელ ავიასაწარმოსთან ან ავიასაწარმოებთან შედის მომხმარებელი კომერციულ გარიგებაში.

მუხლი —
სერთიფიკატების, მოწმობებისა და ლიცენზიების აღიარება

1. ერთი ხელშემკვერელი მხარის მიერ გაცემული ან ვარგისად აღიარებული და ჯერ კიდევ ძალაში მყოფი სერთიფიკატები,

არ არის გათვალისწინებული ხელშემკვერელ მხარეთა დანიშნულ ავიასაწარმოების მიერ კოდის ერთობლივი გამოყენების შესახებ შეთანხმების საკითხი აღნიშნული ავიაკომპანიების პრეროგატივაა, რაც წინამდებარე ორმხრივი სამთავრობოთაშორისო შეთანხმებით არ იზღუდება

არ არის გათვალისწინებული აღნიშნული მუხლით განსაზღვრული პირობები და წესები რეგულირდება ჩიკაგოს კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად

	<p>მ.წინობები და ლიცენზიები, ძეორე... იქნება აღიარებული როგორც ვარგის... ამგვარი სერტიფიკატების, მოწმობების... ვარგისად ჩათვლის მოთხოვნები აღეც... კონვენციის შესაბამისად უკვე ჩან... ჩამოყალიბებულ მინიმალურ სტანდარტ... 2. თითოეული ხელშეკრული მხარე იტ... მისი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაფრენ... მფრინავის მოწმობებისა და/ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობების აღიარებაზე, რომელიც გაცემულია მის მოქალაქეებზე სხვა ქვეყნის მიერ.”.</p>	
	<p>7. შეთანხმების პროექტის ქართულ ტექსტში არის ორთოგრაფიული შეცდომები, აგრეთვე ქვეპუნქტები ზოგან ლათინური შრიფტითაა აღნიშნული, ზოგან კი ქართული.</p>	<p>7. გათვალისწინებულია</p>